# კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის შერჩევის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში: ფასის, დაფარვისა და HR მენეჯერების როლის ანალიზი

**ანა კვიკვინია**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

ხელმძღვანელი : ქეთევან გოგინაშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2026**

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ანა კვიკვინია, 08.06.2026

# აბსტრაქტი

ჯანმრთელობის დაზღვევა თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ინდივიდების ფინანსურ დაცვაში, ისე ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კორპორატიულ ჯანმრთელობის დაზღვევას, რომელიც თანამედროვე ორგანიზაციებში თანამშრომელთა კეთილდღეობისა და დამატებითი ბენეფიტების მნიშვნელოვან ნაწილად განიხილება.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის შერჩევის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა, განსაკუთრებული ყურადღებით ფასის, დაფარვის პირობებისა და HR მენეჯერების როლის ანალიზზე. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი. მონაცემების შეგროვება განხორციელდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების საშუალებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 რესპონდენტმა, მათ შორის 5 HR მიმართულების წარმომადგენელმა და 5 კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში დასაქმებულმა სპეციალისტმა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის შერჩევაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასისა და დაფარვის პირობების ურთიერთბალანსი. ამასთან, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება HR მენეჯერების ჩართულობას, თანამშრომელთა მოთხოვნებს, მომსახურების ხარისხს, პროვაიდერთა ქსელსა და ციფრულ სერვისებს. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ იზრდება თანამშრომელთა ცნობიერება ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხების მიმართ და ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ თანამშრომელთა კეთილდღეობას.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის შერჩევა წარმოადგენს მრავალფაქტორულ პროცესს, რომელიც მოითხოვს ფინანსური შესაძლებლობების, თანამშრომელთა საჭიროებებისა და სადაზღვევო პირობების ეფექტიან დაბალანსებას.

საკვანძო სიტყვები: კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა, HR მენეჯერები, ჯანმრთელობის დაზღვევა, თანამშრომელთა ბენეფიტები, დაზღვევის შერჩევა, საქართველო.

## Abstract

Health insurance represents one of the most important components of modern healthcare systems and plays a significant role in ensuring both financial protection and access to healthcare services. Corporate health insurance has gained particular importance in recent years, as organizations increasingly focus on employee well-being and the provision of additional benefits.

The purpose of this study is to examine the key factors influencing the selection of corporate health insurance in Georgia, with a particular focus on price, coverage conditions, and the role of HR managers in the decision-making process. A qualitative research approach was employed for the study. Data were collected through semi-structured interviews conducted with ten respondents, including five HR professionals and five representatives from the corporate health insurance sector.

The findings revealed that the balance between insurance premiums and coverage conditions is the most influential factor in the selection process. In addition, the study identified the important role of HR managers, employee expectations, service quality, provider networks, and digital services in shaping insurance-related decisions. The results also indicate increasing employee awareness regarding health insurance and a growing organizational focus on employee well-being.

The study concludes that the selection of corporate health insurance is a multifactorial process that requires balancing financial considerations, employee needs, and insurance coverage conditions. Therefore, effective decision-making depends not only on cost considerations but also on the overall value provided to employees and organizations.

Keywords: Corporate Health Insurance, HR Managers, Health Insurance, Employee Benefits, Insurance Selection, Georgia.